გამარჯვება მოაქვს შეტევას

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 5 ივლისი.

"დინამო" (თბილისი) – "ტორპედო" (მოსკოვი) 2:0 (0:0).

"დინამო": გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, კოსტავა (მუჯირი), გ. მაჩაიძე (შენგელია), მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, ჩელებაძე.

"ტორპედო": ზარაპინი, პრიგოდა, მირონოვი, ბუტურლაკინი, ჟუპიკოვი, პეტრენკო, ფილატოვი, ვასილიევი (ხრაბროსტინი), იურინი, სახაროვი (დეგტიარევი), ხლოპოტნოვი.

მსაჯი: მ. სტუპაკი (ივანო–ფრანკოვსკი).

დუბლიორები – 2:1. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს მუმლაძემ და წერეთელმა.

ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან თბილისის "დინამოსა" და მოსკოვის "ტორპედოს" ძველი სპორტული მეტოქეობის ამბავი. თამაში მათ შორის, როგორც წესი, მუდამ საინტერესო, დაძაბული და შეუპოვარია. თუ რას წარმოადგენს მოსკოვის "ტორპედო", ეს პირველ ყოვლისა უნდა ჰკითხოთ ჩვენი თაობის ვეტერანებს, რომლებსაც საკუთარ კისერზე აქვთ გადატანილი "ტორპედოს" ისეთი დიდოსტატების ძალა, როგორებიც იყვნენ ივანოვი, სტრელცოვი, ვორონინი, შუსტიკოვი, გუსაროვი, მანოშინი, ბატანოვი და მრავალი სხვა. მართალია, ისინი დღეს აღარ არიან გუნდში, მაგრამ "ტორპედო" მუდამ "ტორპედოა", მით უმეტეს, თბილისის "დინამოსთან" მატჩებში.

როცა მივიღე სარედაქციო დავალება, გამეკეთებინა მატჩის რეცენზია, უპირველეს ყოვლისა თვალი გადავავლე ტორპედოელთა წლევანდელ "პირად საქმეს", გუნდის მდგომარეობას გათამაშების ცხრილში. გამოირკვა შემდეგი: მოსკოველებს მარცხი განუცდიათ მხოლოდ ჩემპიონატის პირველ მატჩში "შახტიორთან" (გასვლაზე) და მას მერე რეგულარულად იღებდნენ ქულებს ყოველ თამაშში. მაგრამ დიდი განსხვავებაა შინ და სტუმრად ნათამაშებ შეხვედრებს შორის. საკუთარ მინდორზე "ტორპედოს" ჩემპიონის ხელწერა აქვს: 4 მოგება, 2 ფრე, არც ერთი დამარცხება, ბურთების სხვაობა 10:3, მაგრამ სულ სხვაგვარად გამოიყურება გუნდი სტუმრად: სულ 1 მოგება, 4 ფრე და 1 წაგება, ბურთები 4:5.

ე.ი. ცხადია, ტორპედოელებს, როგორც ეს ახლა მოდაშია, ორი მოდელი ჰქონიათ – საშინაო და გასვლითი. პირველი – შემტევი, მეორე – დაცვითი. აქედან გამომდინარე მოსალოდნელი იყო, რომ დინამოელები პირველ ყოვლისა სწორედ ამას მიიღებდნენ მხედველობაში და თამაშსაც შესაბამისად დაგეგმავდნენ, მართალია, ყველაფერი მოხდა ისე, როგორც უნდა მომხდარიყო, თბილისელებმა გაიმარჯვეს მხოლოდ მაშინ, როცა შემტევი ტაქტიკა აირჩიეს "ტორპედოს" გაძლიერებული დაცვის წინააღმდეგ, მაგრამ ეს მოხდა გვიან, მეორე ტაიმის შუაგულიდან დაწყებული, პირველი ტაიმი კი გუნდმა ვერ ითამაშა იმ ტემპში, იმ შემართებით, რომელსაც ადრევე უნდა მოჰყოლოდა წარმატება.

ყველა შემთხვევაში, იყო მეტოქის შეტევა თუ არა, მოსკოველებს 4–5 მცველი მუდმივ "ყარაულში" ეყენათ საკუთარი საჯარიმო მოედნის სიახლოვეს და მათ თითქმის არც ერთხელ არ გადაულახავთ საიერიშო კომბინაციისას "დინამოს" მოედნის ნახევარი. ასეთ ვითარებაში მასპინძლებს შეტევა უნდა ეწარმოებინათ განუწყვეტლივ, სწრაფად, მძლავრად. ნაცვლად ამისა პირველ ტაიმში ისინი მეტისმეტად და გაუმართლებლად ფრთხილობდნენ, ხშირად აწოდებდნენ ბურთს მინდვრის სიგანეზე, დიდ დროს უნდებოდნენ წინსვლას და როცა სასურველ ზღვარს მიაღწევდნენ, იქ ტორპედოელებს უკვე გაუვალი კედელი ჰქონდათ აღმართული. წარმოებდა პოზიციური ბრძოლა, თამაშის ასეთი მსვლელობა კი სტუმრებს ხელს უფრო აძლევდათ.

ამიტომაა, რომ შესვენებამდე დინამოელთა შორის საუკეთესონი იყვნენ უკანა ხაზების მოთამაშეები – მ. მაჩაიძე, ხიზანიშვილი, კანთელაძე, გოგია. თბილისელთა მეკარემ ზედიზედ 3 ისეთი უძნელესი ბურთი მოიგერია, რომ გუნდიც გადაარჩინა დიდ უსიამოვნებას და საკუთრივაც დაიმსახურა მატჩის უძლიერესი მოთამაშის სპეციალური პრიზი.

თბილისელებმა თავიანთი ნამდვილი თამაში მეორე ტაიმში უჩვენეს და ზუსტად იმ დროიდან, როცა მინდორზე გამოიყვანეს "სუფთა" ფორვარდი, ინდივიდუალური გარღვევის ოსტატი შენგელია. მისი გამოსვლა და შეტევის მკვეთრი გაძლიერება ერთი იყო.

64–ე წუთზე დინამოელებმა ასე გაითამაშეს ბურთი: ხინჩგაშვილი–ყიფიანი–შენგელია. ამ უკანასკნელმა მარცხენა ფლანგიდან ძლიერად დაარტყა კარში, ზარაპინმა აიღო ბურთი, მაგრამ გაუშვა ხელიდან და ჩელებაძემ საბოლოოდ დაასრულა ეს კომბინაცია. აქ უნდა აღინიშნოს, რომ გოლი არ იყო ადვილი გასატანი, ვინაიდან ჩელებაძეს ერთობ მცირე ჰქონდა კარში დასარტყმელი სექტორი, მაგრამ მან ამ სიტუაციაში ზუსტად ითამაშა – 1:0.

შენგელიას წვლილი მნიშვნელოვანია მეორე გოლშიც, რომელმაც საბოლოოდ განამტკიცა ჩვენი გუნდის გამარჯვება. ჩვენი ფორვარდი მოხერხებულად გაექცა მოსკოველთა მცველებს და მირონოვი იძულებული გახდა აკრძალული ხერხით შეეჩერებინა იგი. პენალტი შეუცდომლად დაარტყა ყიფიანმა – 2:0.

მოსკოვის "ტორპედოსთან" გამარჯვება ამ ეტაპზე ღირსშესანიშნავი მოვლენაა თბილისელთათვის, თუმცა, ვიმეორებთ, თავიდან ყველაფერი არ იყო რიგზე. სასიამოვნოა ის, რომ ჩვენმა გუნდმა სწორედ რთულ, ძნელ ვითარებაში შეძლო მტკიცე "ხასიათი", ნებისყოფა გამოეჩინა და შეეტანა გარდატეხა თამაშში. იმედი გვაქვს ასეთივე თვისებებს გამოავლენს მომავალ გასვლით მატჩებში, რომლებიც მას უახლოეს ხანში ელის.

გ. ჩოხელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.
"ლელო", 7 ივლისი, 1977 წ.